ხონის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმა

2016

ხონის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმა

ხონის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმა შემუშავდა ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია PIN-ის პროექტის „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით, ევროკავშირისა და ჩეხეთის მთავრობის დაფინანსებით.

სამოქმედო გეგმას საფუძვლად დაედო ხონის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგია, რომელიც 2016 წელს შეიმუშავა პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა მრჩეველთა საბჭომ.

სტრატეგია მოიცავს გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სოციალური სერვისების განვითარებას მუნიციპალიტეტში და ასევე სოციალური მომსახურების ეფექტურობის გაზრდას. სტრატეგიის განხორციელებისათვის მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავდა 2017 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

სტრატეგიული მიზანი 1

ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა

სტრატეგიული ამოცანა 1.1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა

დაგეგმილი საქმიანობა

1.1.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა

1.1.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

პრობლემის დასაბუთება

ოფიციალური მონაცემებით ხონის მუნიციპალიტეტში - 1 017 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ცხოვრობს. მუნიციპალიტეტში შშმ პირებისთვის გათვალისწინებულია ერთჯერადი დახმარებები (18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის 1 ბავშვზე - 200 ლარი; გონებრივად ჩამორჩენილი 18 წლის ზემოთ პირებისთვის 1 ბენეფიციარზე - 150 ლარი) რაც ბუნებრივია მათი საჭიროებებიდან გამომდინარე არასაკმარისია.

იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული გარემო არ არის ადაპტირებული შშმ პირებზე მათი უმრავლესობა მოკლებულია თვითრეალიზებისა და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობებს. ამავე დროს მუნიციპალიტეტს არც შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამები გააჩნია, რომელიც ხელს შეუწყობდა შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამის გამო ისინი თავს ხშირად არ მიიჩნევენ საზოგადოების სრულუფლებიან და დამოუკიდებელ წევრებად, უვითარდებათ დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომი, უინიციატივობა და პესიმიზმი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ნაკლებად არიან ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ეს კი იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის გაუცხოებას.

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის - ქუჩების, გადასასვლელების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ადაპტირება, ასევე შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული, უნარ-ჩვევების განმავითარებელი სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს შშმ პირთა ინტეგრაციას და მათ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის

- არაადაპტირებული შენობების მოძიება/აღრიცხვა;
- შერჩეული ქუჩებისა და შენობების ადაპტაციისთვის სამშენებლო სამუშაობის შემსრულებელი კომპანიის მოძიება;
- შენობების პირველი სართულების შშმ პირებისთვის ადაპტირება;
- შშმ პირებისათვის სარეაბილიტაციო (მასაჟის) კაბინეტის მოწყობა;
- მუნიციპალიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობით შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება;
- კონკურსის გზით შშმ პირებისთვის სერვისის მიმწოდებელთა შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება;

- ბენეფიციართა იდენტიფიცირება, ინფორმირება და ჩართვა სარეაბილიტაციო პროგრამებში;
- პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება/განხორციელება;

ინდიკატორები

ადაპტირებული შენობებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
ადაპტირებული შენობების რაოდენობა;
სარეაბილიტაციო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა

მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შეიქმნა სხვადასხვა სერვისები და განხორციელდა ფიზიკური ინფრასტრუქტურის ადაპტაცია. გაიზარდა შშმ პირების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა სპეციალური სერვისებით სარგებლობენ.
ინფრასტრუქტურული გარემოს ადაპტირებამ ხელი შეუწყო შშმ პირების საზოგადოებრივ აქტივობას. მათ მარტივად შეუძლიათ გადაადგილდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ასევე ჩაერთონ სხვადასხვა კულტურულ-საზოგადოებრივ აქტივობებში.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა - 5 000 ლარი.
შესაძლო დაფინანსების წყაროები არიან ხონის მუნიციპალიტეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირები	1 000	ადაპტირებული ფიზიკური გარემო; ახალ სერვისებზე ხელმისაწვდომლობა, ახალი სარეაბილიტაციო	

			პროგრამებით სარგებლობა.	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება
ხონის მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი 1

ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა

სტრატეგიული ამოცანა 1.2
ხანდაზმულთა სოციალური ინკლუზია

საქმიანობა /მიმართულება

1.2.2 ხანდაზმულებისთვის სოციალური სამრეცხაოს მოწყობა

დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა

1.2.2 ხანდაზმულებისთვის სოციალური სამრეცხაოს მოწყობა

პრობლემის დასაბუთება

ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე.წ. უფასო სასადილო - აიიპ ,,მადლიერება“ და აიიპ ,,სათნოების სახლი“, სადაც ყოველდღიურად ერთჯერადად იკვებება - 250 სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბენეფიციარი. მათ შორის არიან უმწეო მოხუცები და შშმ პირები (80 ბენეფიციარი), რომელთათვისაც ცხოვრების სათანადო პირობების არქონის გამო სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოციალური სამრეცხაოს ფუნქციონირებას. აიიპ ,,სათნოების სახლში“ არსებობს თავისუფალი ფართი, რომლის კეთილმოწყობისა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ბენეფიციართათვის შესაბამისი სერვისის მიწოდება. აღნიშნულ პროცესში სასურველია ჩაერთონ ახალგაზრდა მოხალისეებიც, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაციას.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის

- აიიპ ,,სათნოების სახლში“ არსებული ფართის (დაახ. 50 კვ მ) კოსმეტიკური რემონტი;
- საჭირო ტექნიკის (სარეცხი მანქანა, უთო, სხვ.) შეძენა/ დამონტაჟება;

- შესაბამისი მომსახურე პერსონალის შტატის შექმნა აიიპ ,,სათნოების სახლში“ ან არსებული კადრისთვის დამატებითი საქმიანობის შეთავსება შესაბამისი სახელფასო განაკვეთის მატებით;
- ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფის ფორმირება;
- სამრეცხაოს მუშაობის დებულების (წესის/განრიგის) შემუშავება;
- სამრეცხაოს ამოქმედება;
- პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება/განხორციელება;

ინდიკატორები

- სერვისით მოსარგებლე პირების (ხანდაზმულები და შშმ პირები) რაოდენობა;
- სამრეცხაოს მუშაობაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- შეძენილი ტექნიკის რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ფართის მოცულობა;

მოსალოდნელი შედეგი

სოციალურად დაუცველთათვის ამოქმედდა უფასო სამრეცხაო, სამრეცხაოში მომუშავე ახალგაზრდა მოხალისეები ეხმარებიან ბენეფიციარებს ახალი სერვისით სარგებლობაში, რაც ხელს უწყობს მოხუცებისა და შშმ პირების სოციალურ ინკლუზიას, ასევე მოხალისეობის ინსტიტუტის პოპულარიზაციას.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა 15 000 ლარი. შესაძლო დაფინანსების წყაროები არიან ხონის მუნიციპალიტეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	მარტოხელა მოხუცები	30	სოციალური სამრეცხაო/ჰიგიენური პირობების დაცვის ხელშეწყობა	
2.	შშმ მოხუცები	20	სოციალური სამრეცხაო/ჰიგიენური	

			პირობების დაცვის ხელშეწყობა	
3	სოციალურად დაუცველი მოხუცები	20	სოციალური სამრეცხაო/ჰიგიენური პირობების დაცვის ხელშეწყობა	
4	ჩასახლებებში მცხოვრები დევნილი მოხუცები	10	სოციალური სამრეცხაო/ჰიგიენური პირობების დაცვის ხელშეწყობა	
5	სოციალურ სამრეცხაოში დასაქმებული ადამიანი	1	ყოველთვიური ხელფასი	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი 1

ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა

სტრატეგიული ამოცანა 1.3
დევნილების სოცალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

საქმიანობა / მიმართულება

1.3. 1 პირველადი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა დევნილთა თემისათვის

1.3. 2 სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა დევნილთა თემში მცხოვრები ბავშვებისათვის

დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა

1.3. 1 პირველადი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა დევნილთა თემისათვის

პრობლემის დასაბუთება

ხონის დევნილთა დასახლებაში, სადაც 1 500-მდე დევნილი ცხოვრობს გამგეობის მხრიდან გარკვეული სოციალური პროგრამები ხორციელდება, რომელთა საშუალებითაც ხდება მათ წინაშე არსებული სოციალური პრობლემების მოგვარება. თუმცა წინასწარი მოკვლევის შედეგად ირკვევა რომ რიგი სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემები მაინც გადაუჭრელი რჩება. ერთ-ერთი ასეთი მწვავე პრობლემაა სამედიცინო მომსახურება. მათ უბანში არსებული ამბულატორია არ არის მოწყობილი და შესაბამისად აღჭურვილი, ასევე არ არის ოფიციალურად დაშვებული უბნის ექიმის შტატი, რომლის მომსახურებითაც ისარგებლებდნენ დევნილები.

ამჟამად, დევნილთა თემში ცხოვრობს 30-მდე მარტოხელა მოხუცი და 50-მდე სოციალურად დაუცველი ადამიანი, რომლებიც საჭიროებენ შინმოვლის სერვისსა და უბნის ექიმის მომსახურებას. ასევე მათ სჭირდებათ პირველადი მოხმარების მედიკამენტები და ჰიგიენური საშუალებები, რომელთა შეძენის საშუალებაც მათ არ გააჩნიათ.

პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ექიმის ან ექთნის შტატის დაშვება, ეს საკითხი დაისვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, მათ გამოხატეს სურვილი გარკვეული დახმარება გაუწიონ დევნილთა დასახლებას და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მათი მხრიდან საკითხის უფრო დეტალური შესწავლა.

ასევე აღსანიშნავია, რომ საჭიროა ამბულატორიის ფართის რემონტი, რომლის უზრუნველყოფა უნდა მოახდინოს ხონის მუნიციპალიტეტმა და ამის შემდეგ ამბულატორია უნდა აღიჭურვოს შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის

- ამბულატორიის ფართის შეკეთება/რეაბილიტაცია;
- ექიმის შტატის შექმნა;
- შესაბამისი სამედიცინო ინვენტარის მოძიება/შეძენა;
- პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისების დანერგვა დევნილთა დასახლებაში.

ინდიკატორები

- მარტოხელა მოხუცის რაოდენობა, რომლებიც ჩაერთვებიან შინ მოვლის პროგრამაში;
- დევნილი მოსახლეობის რაოდენობა, რომლებიც მიიღებენ უბნის ექიმის მომსახურებას;
- დევნილთა დასახლებაში მარტოხელა მოხუცებთან უბნის ექიმის ვიზიტების რაოდენობა;

- სამედიცინო პერსონალის საშტატო ერთეულის რაოდენობა;
- შეძენილი ინვენტარის რაოდენობა

მოსალოდნელი შედეგი

ხანდაზმულები სარგებლობენ უბნის ექიმის მომსახურებით, რაც ხელს უწყობს დაავადებათა პრევენციასა და ადრეულ სტადიაზე აღმოჩენას. გაუმჯობესდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა 21 000 ლარი. შესაძლო დაფინანსების წყაროები არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ხონის მუნიციპალიტეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	ექიმის მომსახურების სერვისით მოსარგებლეები	50	ექიმის კონსულტაცია, გამოკვლევები დანიშნულების მიცემა	
2	შინმოვლის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები	30	საცხოვრებლის დასუფთავება, ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, პირველადი მედიკამენტების მიწოდება	
3	ექიმი ან ექთანი	1	მომსახურებაში შესაბამისი ანაზღაურების მიღება	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ჯანდაცვის სამინისტრო, ხონის მუნიციპალიტეტი

1.3. 2 სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა დევნილთა თემში მცხოვრები ბავშვებისათვის

პრობლემის დასაბუთება

ხონის მუნიციპალიტეტში 1 500-მდე დევნილი ცხოვრობს. თემში არსებობს N2 საბავშვო ბაღი, რომელშიც სკოლამდელ განათლებას ღებულობენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების შვილები. თუმცა სკოლამდელი აღზრდის მსურველთა რაოდენობა აღემატება იმ რაოდენობას, რაზეც ამჟამად გათვლილია საბავშვო ბაღი. უნდა აღინიშნოს რომ N2 ბაღის შენობაში არსებობს ფართი, რომლის გარემონტების შედეგად შესაძლებელი იქნება დამატებითი ჯგუფის ფუნქციონირება. შესაბამისად, პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა შენობაში სასწავლო ფართის გარემონტება, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა და სააღმზრდელო პროცესისთვის საჭირო საშტატო ერთეულების დამატება. ამ საკითხების მოგვარება შესაძლებელი ხონის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის

- საბავშვო ბაღის ფართის გარემონტება;
- შესაბამისი ინვენტარის მოძიება/შეძენა;
- სააღმზრდელო პროცესისთვის საჭირო საშტატო ერთეულების დამატება;
- დამატებითი ჯგუფში დევნილი აღსაზრდელების ჩარიცხვა;

ინდიკატორები

- საბავშვო ბაღში დამატებული ჯგუფების რაოდენობა;
- სერვისით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა;
- დამატებული საშტატო ერთეულების რაოდენობა;
- შეზენილი ინვენტარის რაოდენობა;

მოსალოდნელი შედეგი

გაიზარდა სკოლამდელი სერვისის მიმღებთა რაოდენობა და დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გახდა სკოლამდელი განათლება.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა - 23 000 ლარი. შესაძლო დაფინანსების წყაროები არიან ხონის მუნიციპალიტეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	სკოლამდელი ასაკის ბავშვები	22	სკოლამდელი აღზრდის სერვისის მიწოდება	
2	პედაგოგები	3	დასაქმდება 3 პედაგოგი	
3	მშობლები	35	მათი შვილები სარგებლობენ სკოლამდელი აღზრდის სერვისით	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება
ხონის მუნიციპალიტეტი, ააიპ ,,საბავშვო ბაღების გაერთიანება, დონორი ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი 1

ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა

სტრატეგიული ამოცანა 1.4
ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ეფექტური სოციალური სერვისების შემუშავება

საქმიანობა / მიმართულება

1.4.1 ბავშვებში დაავადებათა პრევენციის მიზნით სათანადო სამედიცინო პროგრამების შერჩევა/განხორციელება (მაგ. ჰელმინთოზის პროგრამა)

1.4.2 სკოლამდელი აღზრდის აღსაზრდელებისა და დაწყებითი კლასების მოსწავლეების საჭირო სააღმზრდელო და სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფა

დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა

პრობლემის დასაბუთება

ბავშვებში დაავადებათა მკურნალობის მიზნით არაერთი სახელმწიფო თუ მუნიციპალური პროგრამა ხორციელდება, თუმცა არსებობს ისეთი დაავადებები, რომელთა მკურნალობის პროგრამები არ არსებობს. მათ შორისაა ჰელმინთოზი, რომლის განკურნება დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ სტადიაზე იქნა აღმოჩენილი ეს დაავადება. ადრეულ ეტაპზე იგი ემორჩილება მედიკამენტოზურ მკურნალობას და საკმაოდ მარტივად ხდება განკურნება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში საკმაოდ მაღალია ალბათობა რომ დაავადება გართულდეს და ფატალურად დასრულდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დაავადებისა და მსგავსი დაავადებებისთვის პრევენციულ ღონისძიებად აღიარებულია 6 წლის ასაკი ბავშვების გამოკვლევა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა.

ხონის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად დაახლოებით 400-მდე ბავშვი ხდება პირველკლასელი. მათი გამოკვლევა ჰელმინთოზზე და სხვადასხვა დაავადებებზე გრძელვადიან პერიოდში დადებით სურათს მოგვცემს: მოხდება რიგი დაავადებების პრევენცია, სკოლაში შეიქმნება ჯანმრთელი გარემო და შემდგომში, სხვა ბავშვები დაცული იქნან მსგავსი დაავადებისაგან.

შესაბამისად, სასურველია მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამის ,,ჰელმინთოზის უფასო კვლევების," შემუშავება და განხორციელება პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ყველა პირველკლასელზე, დაახლოებით წელიწადში 400 ბენეფიციარი (პირველკლასელი).

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის

- პროგრამის შექმნა და ასახვა თვითმმართველობის სოციალურ პაკეტში;
- შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა მუნიციპალიტეტის მიერ;
- სერვისის მიმწოდებელი კვალიფიციური ორგანიზაციის მოძიება;
- პროგრამით მოსარგებლე სავარაუდო ბენეფიციარების ინფორმირება;
- პროგრამის განხორციელება;
- პროგრამის მონიტორინგიდა და შეფასების სისტემის შექმნა/განხორციელება;

ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა (400 ბავშვი);
- ჩატარებული გამოკვლევების რაოდენობა;
- გამოკვლევების შედეგად მიღებული დადებითი შედეგების რაოდენობა;

მოსალოდნელი შედეგი

პროგრამით სარგებლობს ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ოჯახი, რომელთაც ჰყავთ 6 წლის მოზარდი; გამოკვლევების შედეგად ადრეულ ეტაპზე გამოვლინდა რიგი

დაავადებები, ამის შედეგად მოხდა მათი გართულებების პრევენცია, რაც თან ახლავს ჰელმინთოზსს; მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებში ზოგადად გაუმჯობესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა 4 000 (ოთხი ათასი) ლარი. შესაძლო დაფინანსების წყაროები არიან ხონის მუნიციპალიტეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	პირველკლასელი (6 წლის)	400- მდე	ჰელმინთოზის პროგრამაში ჩართვა, უფასო გამოკვლევები	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

ხონის მუნიციპალიტეტი, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია (სამედიცინო დაწესებულება);

1.4.2 სკოლამდელი აღზრდის აღსაზრდელებისა და დაწყებითი კლასების მოსწავლეების საჭირო სააღმზრდელო და სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფა

პრობლემის დასაბუთება

ხონის მუნიციპალიტეტში 20 სკოლამდელი დაწესებულებაა, სადაც შესაბამის მომსახურებას იღებს 900- მდე აღსაზრდელი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა და მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, როგორც პერსონალის ხელფასებს, ასევე კვებისა და სხვა ხარჯებს, რაც ჯამში წელიწადში დაახლოებით 900 000 ლარს შეადგენს. რაც შეეხება საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურასა და ინვენტარს ის საჭიროებს განახლებას. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ცდილობს ეტაპობრივად მოახდინოს როგორც ახალი ბაღების მშენებლობა, ისე არსებულის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა, თუმცა უნდა ითქვას, , რომ ფინანსური რესურსის სიმცირის გამო რამდენიმე საბავშვო ბაღი დღემდე საჭიროებს როგორც ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებას, ასევე ინვენტარის განახლება/დამატებას.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი ააიპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებისა“ და ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი თანამშრომლობით.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის

- ბაღებში საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ინვენტარის შერჩევა/შესყიდვა;
- ინვენტარის დაწესებულებებისათვის გადაცემა;

ინდიკატორები

- შეძენილი ინვენტარის სახეობათა რაოდენობა;
- შეძენილი ინვენტარის საერთო რაოდენობა;
- ახალი ინვენტარით აღჭურვილი ბაღების რაოდენობა;
- სერვისით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა;

მოსალოდნელი შედეგი

ხონის მუნიციპალიტეტის 3 საბავშვო ბაღში გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურული გარემო, სამივე ბაღი აღიჭურვა სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით. ბავშვები სკოლამდელ აღზრდას იღებენ დაცულ და უსაფრთხო გარემოში.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა - 10 000 ლარი შესაძლო დაფინანსების წყაროები არიან ხონის მუნიციპალიტეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია

#	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	სკოლამდელი ასაკის ბავშვები	400	სკოლამდელი აღზრდის სრულფასოვანი სერვისის მიწოდება	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

ხონის მუნიციპალიტეტი, ააიპ ,,საბავშვო ბაღების გაერთიანება.“